ISSN 2667-9167
№1

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის სამეცნიერო ჟურნალი

ПОЛИТО / LOGOS

I ტომი

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2019

რედაქტორი:

თამარ კიკნაძე – პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის ხელმძღვანელი.

სარედაქციო კოლეგია:

ადამ იელონეკი (ფილოსოფიის დოქტორი, კრაკოვოს იაგელონიის ინსტიტუტი)

სვეტლანა ჩებოტარი (პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, მოლდოვას სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ჰანს გეორგ ჰაინრიხი (პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუს პროფესორი, ვენის უნივერსიტეტი, ICEUR –Vienna-ს ვიცეპრეზიდენტი)

იაკუბ ჟაკი (პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, პოლონეთის Ostrowiec Świętokrzyski-ის უნივერსიტეტი, ნაციონალური უსაფრთხოების დეპარტამენტისა და ცენტრალური ევროპის კვლევითი და სტრატეგიული ანალიზის ინსტიტუტის – CIRSA-ს თავმჯდომარის მოადგილე, სამეცნიერო ჟურნალ – Ante Portas – Security Studies-ის სარედაქციო კოლეგიის წევრი)

მაქსიმ ლეპსკი (ფილოსოფიის დოქტორი, ზაპოროჟიის უნივერსიტეტი)

მარიუშ მაშკევიჩი (პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პოლონეთის ელჩი საქართველოში)

დავიდ ნაკაშე (პროფესორი, École normale supérieure)

ტარუნ ვიჯაი (ინდოეთ-ჩინეთის საპარლამენტო ჯგუფის პრეზიდენტი, ინდოეთის პარლამენტის ყოფილი წევრი)

ვახტანგ მაისაია (პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი)

მარჟენა ჟაკოვსკა – (ომის კვლევების უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეროვნული უსაფრთხოების ფაკულტეტი)

© კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 2019

გამომცემლობა „**უნივერსალი**"

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISSN 2667-9167
№1

Научный журнал института политических исследований Кавказского международного университета

ПОЛИТО / LOGOS

Том I

Издательство **„Универсал“**
Тбилиси 2019

Редактор:

Тамар Кикнадзе – доктор политических наук, профессор, руководитель института политических исследований Кавказского международного университета.

Редакционная коллегия:

Адам Иелонек (доктор философии; Краковоский институт Иагелонии);
Светлана Чеботарь (доктор политических наук; Молдавский государственный университет);
Ханс Георг Гайнрих (доктор политических наук, эмерит профессор Венского университета, вице – президент ICEUR –Vienna);
Якуб Жак (доктор политических наук; ассоциированный профессор; Польский Ostrowiec Świętokrzyski университет, заместитель председателя департамента национальной безопасности и института исследовательского и стратегического анализа Центральной Европы – CIRSA, член редакционной коллегии научного журнала – Ante Portas – Security Studies);
Максим Лепский (доктор философии, Запорожский университет);
Мариуш Машкевич (посол Польши в Грузии);
Давид Накаше (профессор, École normale supérieure);
Тарун Виджай (президент Индо – китайской парламентской группы, бывший член парламента Индии).
Вахтанг Маисая (доктор политических наук, профессор Кавказского международного университета).
Маржена Жаковска (ассоциированный профессор университета Военных исследований, факультет национальной безопасности).

© Кавказский международний университет, 2019

Издательство “УНИВЕРСАЛ”

Тбилиси, 0186, ул. А. Политковской №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universali505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISSN 2667-9167
№1

Scientific Journal of the Institute for Political Studies of Caucasus International University

POLITO / LOGOS

Volume I

Publishing House **"UNIVERSAL"**
Tbilisi 2019

Editor:

Tamar Kiknadze – Doctor of Political Sciences, professor, Head of Institute for Political Studies at Caucasus International University

Editorial Board:

Adam Jelenok (Doctor of Philosophy, Jagiellonian University, Krakow);
Svetlana Chebotar (Doctor of Political Sciences; Moldova State University);
Hans-Georg Heinrich (Doctor of Political Sciences; Emeritus Professor; University of Vienna, Vice president of ICEUR-Vienna)
Jakub Zhak (Doctor of Political Sciences; Associate Professor, University of Ostrowiec Świętokrzyski, Poland; Deputy head of Department of National Security and Central European Institute of Research and Strategic Analysis – CIRSA; A member of Editorial Board of the scientific journal (Ante Portas – Security Studies);
Maxim Lepsky (Doctor of Philosophy, University of Zaporizhzhya);
Mariush Mashkevich (Doctor of Political Sciences Ambassador of Poland to Georgia);
David Nakashe (Professor, École normale supérieure);
Tarun Vijay (President of India-China Parliamentary Group, former MP of India)
Vakhtang Maisaia (Doctor of Political Sciences, Professor of Caucasus International University);
Marzena Zakowska (Associate Professor of War Studies University, National Security Faculty).

© Caucasus International University, 2019

Publishing House "UNIVERSAL"

4,A. Politkovskaia st., 0186, Tbilisi,Georgia ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

სარჩევი:

I ნაწილი – საერთაშორისო და რეგიონული კონფლიქტები:

თამარ კიკნაძე, გიორგი ვოლსკი 10
ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები და მათი გადაჭრის პერსპექტივები

არინა თავაქარაშვილი 22
ქართულ-ოსური კონფლიქტის პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტები

II ნაწილი – უსაფრთხოების პრობლემები:

გიორგი ზვიადაძე 34
საერთაშორისო სისტემის ცვლილება 21-ე საუკუნეში

ვაჟა გურგენიძე, ნატო გურგენიძე 45
„რბილი ძალის“ როლი საერთაშორისო ურთიერთობებში

ალიკა გუჩუა 56
ნატოს ბირთვული შეკავების პოლიტიკა ასიმეტრიული საფრთხეების კონტექსტში

III ნაწილი – პოსტსაბჭოთა ქვეყნების პოლიტიკური პრობლემები:

მაია ურუშაძე 74
უცხოური პროპაგანდის პროეცირება ქართულ პოლიტიკაზე

მაია წურწუმია 91
ქალთა პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შემაფერხებელი ფაქტორები საქართველოში: ექსპერტული ანალიზი

ნანა დევდარიანი 108
იდეოლოგიის აღქმა პოსტსაბჭოთა საქართველოში

თამარ ჩიბურდანიძე-ლომთაძე 124
პოლიტიკური კულტურა – პოლიტიკური ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორი

Svetlana CEBOTARI, Carolina BUDURINA – GOREACII 135
THE EVALUATION OF ACTIVITIES OF SOME MOLDOVAN CIVIL SOCIETY INSTITUTIONS IN THE LOCAL COMMUNITY DEVELOPMENT

ალექსანდრე რუსეცკი 151
პოლიდიპლომატიის კონცეფცია და საქართველოს საერთაშორისო პოლიტიკის ინოვაციური საგანმანათლებლო საფუძვლები

მარიამ ჯიქია 163
ევროკავშირთან დაახლოების პოლიტიკა და გაწევრიანების სტანდარტები
(უნგრეთისა და პოლონეთის მაგალითზე)

რუსუდან თურნავა, ნინო გაგოშაშვილი 177
კავკასია ფრანგი მხატვრების მოგონებებსა და ნახატებში

IV ნაწილი – თარგმანი:

თომას გრემი 212
პუტინი პრობლემა არ არის – პრობლემა თვით რუსეთია
(თარგმნა პეტრე მამრაძემ)

დანართი 216

პოლიდიპლომატიის კონცეფცია და საქართველოს საერთაშორისო პოლიტიკის ინოვაციური საგანმანათლებლო საფუძვლები

კვლევა [PHDF-18-1147] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

This research (PHDF-18-1147) has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)

ალექსანდრე რუსეცკი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
პოლიტიკის მეცნიერების პროგრამის
დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში წარმოდგენილია საქართველოში საერთაშორისო პოლიტიკის კოორდინირებული მართვისა და საქართველოს დიპლომატიური კორპუსის საკადრო უზრუნველყოფის პრობლემა. პრობლემის საფუძვლად წარმოდგენილია შესაბამის საგანმანათლებლო პოლიტიკის დაგეგმარებაში არსებული სერიოზული ხარვეზები. კვლევის შედეგად შექმნილია ინოვაციური, მეტაკოგნიტური, ქოლისტური სისტემა ცენტრირებული პოლიდიპლომატიის ცნება, რომელიც წარმოადგენს (ფორმალური და არაფორმალური დიპლომატიის) სპეციალიზაციების ახალ სიმრავლეს. სტატია წარმოადგენს ჩატარებული კვლევის როგორც თეორიულ, ისე გამოყენებით ხასიათს. განსაკუთრებით ღირებული ინსტიტუციონალური სახეობის პროდუქტს წარმოადგენს პოლიდიპლომატიის საერთაშორისო სკოლა.

საკვანძო სიტყვები: პოლიდიპლომატია; სიმ-მეთოდი; ფსიქოსინთეზი; უზნაძისეული „რეკონსტრუქცია/მოდერნიზაციის“ კონცეფცია.

THE CONCEPT OF POLY DIPLOMACY AND INNOVATIVE EDUCATIONAL BASIS OF GEORGIA INTERNATIONAL POLICY

Alexander Rusetsky
CIU program in Political Sciences
Ph.D student

Summery

The article presents the coordinated management of international policy in Georgia and the problem of human resources for diplomatic corps of Georgia. The basis of the problem is the serious shortcomings in planning the relevant educational policy. As a result of the research, the concept of innovative, metacognetic, cholistic system of polydiplomacy is a new set of specialization (formal and informal diplomacy) and will be identified in the National Qualification Framework. The article contains both theoretical and prtagmatic aspects of the research conducted. The most valuable institutional type of product is the International School of Polydiplomacy.

Key words: poly-diplomacy; SIM-method; psychosynthesis; "reconstruction/modernization" concept of Dimitry Uznadze.

КОНЦЕПЦИЯ ПОЛИДИПЛОМАТИИ И ИННОВАЦИОННЫЕ ОБРАЗОВАТЕЛЬНЫЕ ОСНОВЫ МЕЖДУНАРОДНОЙ ПОЛИТИКИ ГРУЗИИ

Александр Русецкий,
Докторант
программы по политическим наукам
Кавказского международного университета

Резюме

В статье представлена проблема координации и управления системы международной политики Грузии, а также проблема кадрового обеспечения дипломатического корпуса Грузии. В качестве основы проблемы представлены серьезные недостатки, существующие в планировании и в реализации соответствующей образовательной политики. По итогам исследования создано инновационное, метакогнитивное, холистическое системоцентрическое понятие полидипломатии, кото-

рое представляет собой совокупность новых специальностей (формальной и неформальной дипломатии). В статье представлены как теоретические, так и прикладные характеристики исследования. Особую ценность представляет продукт институционального типа – Международная школа полидипломатии.

Ключевые слова: полидипломатия, Сим-метод, психосинтез, концепция «реконструкции/модернизации» Димитрия Узнадзе.

სტატიის მთავარი მიზანია საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტების საკადრო რესურსის ეფექტური მომზადებისა და მართვის ხელშეწყობა. ფორმალური და არაფორმალური განათლების, ფსიქოლოგიური დახმარების გზით პერსონალის უნარ-ჩვევებისა და პოტენციალის ზრდა.

სტატიის მთავარ ამოცანას წარმოადგენს – კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში 2013-2018 წლებში არსებული ინოვაციებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ბაზაზე ჩატარებული ინტერდისციპლინური სამეცნიერო კვლევების შედეგად შექმნილი და დანერგილი საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების ახალი შესაძლებლობების წარმოდგენა.

კვლევის მთავარი საგანია – საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობის პოლიტიკის სპეციალისტების მომზადების საგანმანათლებლო სისტემა და მასში არსებული კონცეპტუალური მიდგომები.

კვლევის სფერო – კვლევა წარმოადგენს ინტერდისციპლინური კვლევების სახეობას და, სახელდობრ – საერთაშორისო ურთიერთობების კვლევებისა და ფსიქოლოგიის გადამკვეთ სივრცეს. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის საერთაშორისო ურთიერთობების ფსიქოლოგიის მიმართულება, რომელიც საქართველოში განვითარების საწყის სტადიაზე არის წარმოდგენილი და არანაირად არაა ინსტიტუციონალიზებული. საერთაშორისო ურთიერთობების კვლევების გაძლიერება ფსიქოლოგიური მეცნიერების რესურსით წარმოადგენს განსაკუთრებულ ინტერესს ისეთ სფეროში, როგორიცაა – საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობების საკადრო პოლიტიკა.

პრობლემის/საკითხის აქტუალურობა – შერჩეული თემის მიმართ ინტერესი განპირობებულია საქართველოს საერთაშორისო პოლიტიკის სპონტანურობის მაღალი ხარისხითა და არსებულ რისკებზე, გა-

მოწვევებსა და საფრთხეებზე არასისტემური, არაადეკვატური რეაგირებით, რაც განპირობებულია შესაბამისი საკადრო დეფიციტით. საერთაშორისო პოლიტიკის საკადრო უზრუნველყოფის პრობლემა დაკავშირებულია განათლების სფეროში არსებულ სერიოზულ ხარვეზებსა და სასწავლო/პროფესიული დეპრივაციის მაღალ ხარისხთან.

2013-2014 წწ. არსებული კვლევის ჩარჩოში ჩვენ ჩავატარეთ სტუდენტების გამოკითხვა და აღმოვაჩინეთ, რომ კსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტების 68.4%-ს არ აქვს გამოკვეთილი საკუთარი პროფესიული მომავლის განვითარების სტრატეგია არსებულ სპეციალობასთან მიმართებით, ხოლო დანარჩენი სტუდენტების პროფესიული იდენტობა ამ თვალსაზრისით იყო ბუნდოვანი და გაურკვეველი. კვლევებით დამტკიცებულია, რომ პროფესიული გაურკვევლობა ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს სასწავლო პროცესზე.

ეს სასწავლო დეპრივაციის პრობლემაა (ადამიანი არ სწავლობს იმას, რაც უნდა რომ ისწავლოს ან არ იცის, რა უნდა რომ ისწავლოს). ეს ხელს უწყობს პროფესიული დეპრივაციის განვითარებას (როდესაც ადამიანს აქვს დიპლომი, მაგრამ ის ან უმუშევარია, ან დასაქმებულია არა იქ, სადაც აქვს სურვილი, რომ იყოს დასაქმებული და არა იმ პროფილით, რომელშიც აქვს დიპლომი).

პროფესიული დასაქმების პრობლემა დღეს სერიოზულად დგას. საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით საქართველოში მხოლოდ ბაკალავრიატის დონეზე სწავლობს – 5000-დე სტუდენტი. ფაქტობრივად, ყოველ წელს 1000 ბაკალავრი ამთავრებს უმაღლესს ამ სპეციალობით.

ეს სტატისტიკა ამოღებულია აბიტურიენტთა 2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მომზადებული ცნობარიდან [8, 2-5]. მასში არის მოცემული ყველა ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებელი და ყველა საბაკალავრო პროგრამა, რომლის დასახელება მოიცავს სიტყვებს – „საერთაშორისო ურთიერთობები". ასევე მითითებულია პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა, რაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველა პროგრამაზე გამოცხადებული ადგილები შეივსო.

საერთაშორისო ურთიერთობის სტუდენტების მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით, მათი ძირითადი დამსაქმებელი საგარეო საქმეთა სამინისტრო უნდა იყოს, მაგრამ ეს ილუზიაა. და ამ ილუზიაში ცხოვრობს საერთაშორისო ურთიერთობების სტუდენტების, განსაკუთრებით პირველკურსელების, უმრავლესობა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს პერსონალი, 2016 წლის მონაცემებით, შეადგენს 609 ადამიანს. მათი განახლებაც ნელი ტემპით მიმდინარეობს. ამას ართულებს ასევე ის, რომ პერსონალის გარკვეული ნაწილი საერთოდ არაა საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი. რა თქმა უნდა, სხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციების წვლილი საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტების რეალურ დასაქმებაში ბევრად უფრო დიდია. სტატისტიკა იმისა, სად არიან დასაქმებული საქართველოს უნივერსიტეტების საერთაშორისო ურთიერთობების კურსდამთავრებულები – ბაკალავრები (აღარაა საუბარი მაგისტრებსა და დოქტორანტებზე) არ არსებობს [10, 1-2].

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სასწავლო პროგრამების უმრავლესობა ორიენტირებულია საერთაშორისო ურთიერთობების ტრადიციულ გაგებაზე. ამის მიხედვით კი საერთაშორისო პოლიტიკის ძირითადი აქტორი სახელმწიფოა. ამიტომაც სტუდენტებს აქვთ აღებული ორიენტირი ძირითადად საგარეო საქმეთა სამინისტროზე, რაც არ არის სწორი. იკარგება ბაზრის 2 მნიშვნელოვანი სეგმენტი – კერძო სექტორი და სამოქალაქო საზოგადოება, აღარაა საუბარი სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებსა და ზოგადად საერთაშორისო ბაზარზე. ადგილი აქვს **მარკეტინგულ დეპრივაციას** (ინფორმაციის ნაკლებობას საჭირო სერვისებსა ან პროდუქტზე) და სიმ-მეთოდი მიმართულია იმაზე, რომ შეამციროს დეპრივაციის ეს სახეობაც.

პროფესიული მომავლის გაურკვევლობა არაა მხოლოდ საქართველოს პრობლემა. 1953 წლიდან ჰარვარდის უნივერსიტეტმა (აშშ) დაიწყო მრავალწლიანი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა. ყველა კურსდამთავრებულს ჰკითხეს – აქვთ თუ არა მათ მიზანი ცხოვრებაში და რამდენად მზად არიან, რომ ამ მიზნისკენ იმოძრაონ. აღმოჩნდა, რომ ასეთი გამოკვეთილი მიზანი ჰქონდა 3%-ზე ნაკლებ კურსდამთავრებულს. შემდეგი 25 წლის განმავლობაში დაკვირვებებმა აჩვენა მეცნიერებს, რომ ამ მცირე რაოდენობამ მიაღწია სხვებთან შედარებით სერიოზულ წარმატებებს ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში [6, 1-2].

ჰარვარდის უნივერსიტეტის მკვლევრების მიერ მიღებული შედეგები გვარწმუნებს იმაში, რომ ფსიქოლოგიური განათლებისა და თვითშემეცნების მეშვეობით განვითარებული უნარ-ჩვევები ხელს უწყობს პროფესიული მიზნის უფრო ნათლად წარმოდგენასა და სასწავლო/პროფესიული ბედნიერების დეპრივაციის მაჩვენებლის დონის დაწევას. პიროვნების თვითშემეცნება ხელს უწყობს რეფლექსური აზროვნების განვითარებას, მეტაკოგნიციური და ეგზისტენციალური უნარ-ჩვევების გაძლიერებას.

მეთოდოლოგია

კვლევა ჩატარდა საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტებში. გამოყენებული იყო მეტაკოგნიტური სწავლების ინოვაციური საავტორო სიმ-მეთოდი და ამის შემდეგ ანკეტების მეშვეობით სტუდენტთა კმაყოფილების დონე შეფასდა. მნიშვნელოვანია, რომ საკონტროლო კვლევა ჩატარდა სხვა სპეციალობების სტუდენტებში (ბიზნესადმინისტრირების, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების ჯგუფებში). შედეგები უმნიშვნელოდ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

სიმ-მეთოდი განიმარტება როგორც სწავლა/სწავლების ინტეგრირებული მეტაკოგნიტური მეთოდი. მისი გამოყენებით საერთაშორისო ურთიერთობის სტუდენტებთან მუშაობის პროცესში შეიქმნა საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების ქოლისტური, სისტემაცენტრისტული ხედვა – პოლიდიპლომატიის კონცეფცია.

პოლიდიპლომატია წარმოადგენს სხვადასხვა ტიპისა და სახეობის ფორმალური და არაფორმალური „დიპლომატიების“ ერთობლიობას.

პოლიდიპლომატიას გააჩნია კატალიზატორული ფუნქცია. დიპლომატიის მკვლევრების აზრით, ე.წ. „კატალიზატორული დიპლომატია“ (catalyticdiplomacy) წარმოადგენს სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების აქტიური თანამშრომლობის შესაძლებლობას [4, 11-44].

ინოვაციის შექმნა განპირობებულია სურვილით, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის ბაკალავრებმა, მაგისტრებმა და დოქტორანტებმა მიიღონ ისეთი განათლება, რომელიც განაპირობებს მათ ღირსეულ ინტეგრაციას პროფესიულ საზოგადოებაში და მათ კარიერულ წარმატებას. ტრადიციული დიპლომატიისაგან განსხვავებით, პოლიდიპლომატია მოიცავს უფრო ფართო სპეციალობებისა და სპეციალიზაციების სპექტრს, რაც იძლევა უფრო მეტი ადამიანის ღირსეულად დასაქმების შესაძლებლობას. ეს წარმოადგენს ერთდროულად ზრუნვას მათ პროფესიულ ბედნიერებასა და ეროვნულ უშიშროებაზე.

გამომდინარე იქედან, რომ ამოცანას წარმოადგენს სტუდენტების ღირსეული დასაქმება და მათი პროფესიული ბედნიერება, სასწავლო პროგრამების დაგეგმარების პროცესში ვალდებულები ვართ, განვიხილოთ საერთაშორისო ურთიერთობების ცნების როგორც ნეოკონსერვატიული, ისე ნეოლიბერალური კონცეფციების ფართო სპექტრი. გლობალიზაციის პროცესი გვაჩვენებს, რომ საერთაშორისო ინტე-

რესთა ჯგუფები ქმნიან ახალ სისტემებს, ქსელებს, რასაც საგარეო პოლიტიკის მართვის სისტემა სრულყოფილად უნდა ითვალისწინებდეს.

ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ რუსეთის ფედერაციამ 2017 წლის 30 ნოემბერს საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში დააფიქსირა პირველად ცნება „ქსელური დიპლომატია", რომელიც უნდა გულისხმობდეს სპეციალისტების მომზადებას სხვადასხვა ვიწრო სპეციალიზაციებით, გამომდინარე იქედან, რომ მნიშვნელოვან რესურსად ითვალისწინებენ „რბილი ძალის" სპეციალისტებს [6; 3-4]. რუსეთის წამყვან უნივერსიტეტებში 2018 წლიდან უკვე ამ ვიწრო პროფილის სპეციალისტებს ამზადებენ. საქართველოში ამ პროცესს აწარმოებს პოლიდიპლომატიის საერთაშორისო სკოლა.

შეერთებულ შტატებში ამ მიმართულებით კვლევები ტარდებოდა მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში. ამერიკელი დიპლომატების – ჯონ მაკდონალდისა და ლუის დაიმონდის მიერ შექმნილია მულტიარხული დიპლომატიის კონცეფცია და ინსტიტუტი, რომლის ფილიალიც ფუნქციონირებს საქართველოშიც (მეტად სასიამოვნო ფაქტია ჯ. მაკდონალდის პირადი ვიზიტი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში 2015 წელს და ის დიდი სიხარული, რომელიც მან გამოხატა იმ ფაქტის გამო, რომ მისი მულტიარხული დიპლომატიის საფუძვლები ისწავლება ამ უნივერსიტეტში) [11, 1-2].

ჩვენი კვლევის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა იმ თეორიებისა და მიმდინარეობების ანალიზი, რომელიც ეხებოდა საერთაშორისო ურთიერთობებს. რომ შევაჯამოთ არსებული პარადიგმები, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტი აღარაა მხოლოდ სახელმწიფო და, გამომდინარე აქედან, დღის წესრიგში დგება ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებების განვითარება, როგორებიცაა: საერთაშორისო ურთიერთობების სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ეკონომიკა და სისტემური მენეჯმენტი. ახალი რეალობა მოითხოვს ახალი ტიპისა და კვალიფიკაციის სპეციალისტებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დიპლომატია გახდა მრავალგანზომილებიანი და მრავალკომპონენტიანი, ამიტომ ჩვენ შემოვიღეთ პოლიდიპლომატიის ცნება.

განსხვავებით რუსეთის ქსელური დიპლომატიისა და ამერიკული მულტიარხული დიპლომატიისაგან, პოლიდიპლომატია წარმოადგენს ქოლისტიკურ ზესისტემას, რომელიც შეიცავს ყველა არსებულ მიმართულებას და სწავლობს დიპლომატიური პოლიტიკის დივერსიფიცირებისა და, ამავე დროს, სისტემატიზაციის პროცესს.

პოლიდიპლომატია წარმოადგენს სისტემაცენტრირებული ქოლისტიკური ცოდნის საგანს, რომელშიც აკუმულირებულია ყველა არსებული ცოდნის რესურსი.

ეს მეტად მნიშვნელოვანია განსაკუთრებით იმ არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების ფონზე, რომლებიც ჰიბრიდულ ომებთანაა დაკავშირებული.

საკვლევი კითხვები ან/და ჰიპოთეზები

ჰიპოთეზის არსს წარმოადგენდა – „თუ ჩვენ დავნერგავთ პოლიდიპლომატიის კონცეფციას საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტების საგანმანათლებლო პროგრამაში, ჩვენ შევამცირებთ მათი პროფესიული გაურკვევლობის ხარისხსა და ოპტაციის ფაზას, გავზრდით პროფესიული იდენტობისა და პროფადაპტაციის ხარისხს, ხელს შევუწყობთ მათ ინტრაპერსონალური კონფლიქტის მოგვარებას ფორმალურ პროფესიულ როლსა და ონთოგენეზში წარმოქმნილ სასურველ პროფესიულ იდენტობებს შორის და ასევე ხელს შევუწყობთ მათ ღირსეულ დასაქმებას, პროფესიულ ბედნიერებას.

შედეგები:

1) სიმ-მეთოდის დანერგვა საერთაშორისო სპეციალისტების საგანმანათლებლო პროგრამაში. სწავლა/სწავლების ინტეგრირებული მეტაკოგნიტური მეთოდი პირველად დაინერგა საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობაზე, რამაც გაზარდა პედაგოგიური ინვარიანტულობის ხარისხი;

2) შეიქმნა პოლიდიპლომატიის კონცეფცია და შესაბამისი სკოლა, რომელიც განაპირობებს სწავლა/სწავლების ქოლისტური, სისტემაცენტრირებული, მეტაკოგნიტიური პედაგოგიური კულტურის დანერგვას საერთაშორისო ურთიერთობის პროფილით;

სკოლა, თავისი შინაარსით, წარმოადგენს დამატებითი და ალტერნატიული კვლევებით უზრუნველყოფილ განათლების სისტემას, რომელიც მიმართულია დანერგოს ამ მიმართულებით ინოვაციური პედაგოგიური პრაქტიკები, ხელი შეუწყოს შესაბამისი პროფილის პროფესიულ გაერთიანებებს შორის ეფექტურ თანამშრომლობას ეროვნულსა და საერთაშორისო დონეზე. მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში ფუნქციონირებს პროგრამები სხვადასხვა პროფესიის ბაკალავრებისათვის, მაგისტრებისა და დოქტორანტებისათვის;

3) ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს რევიზია და ტრანსფორმაციის პროვოცირება.

მნიშვნელოვანია, რომ პოლიდიპლომატიის საერთაშორისო სკოლის ინიციატივით შექმნილია ექსპერტთა გუნდი, რომელიც ამზადებს ცვლილებებს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში. შეიქმნება საერთაშორისო ურთიერთობების ახალი სპეციალობები და სპეციალიზაციები, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტების ეფექტურსა და ღირსეულ დასაქმებას.

როგორც დაგვიდასტურა ჩატარებულმა კვლევებმა, ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში საერთაშორისო ურთიერთობების დარგს/სპეციალობას N(0705) შეესაბამება ზოგადი სპეციალიზაცია – დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა – დოკუმენტში ჩამოთვლილი რამდენიმე ვიწრო სპეციალიზაცია არასრულად ასახავს რეალურ მოთხოვნილებას [9, 4-5].

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გვაქვს, ზოგადად, შესაძლებლობა, მოვამზადოთ დიპლომატები და საერთაშორისო პოლიტიკის სპეციალისტები. ამავე დროს, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობაში შედის სხვადასხვა სპეციალობები და ვიწრო სპეციალიზაციები, რაც არაა ნაჩვენები საქართველოს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში. მაგალითად, საერთაშორისო უსაფრთხოების სპეციალისტი, მოლაპარაკებების სპეციალისტი; სამშვიდობო პროცესების ორგანიზებისა და მართვის სპეციალისტი; საერთაშორისო ორგანიზაციების სპეციალისტი; საერთაშორისო ურთიერთობის სოციოლოგი; საერთაშორისო ურთიერთობის ფსიქოლოგი; დიასპორული პოლიტიკის სპეციალისტი; გეოპოლიტიკისა და გეოპოლიტიკური მოდელირების სპეციალისტი; გეოეკონომიკის სპეციალისტი. აღარაა საუბარი იმაზე, რომ გლობალიზაციის პროცესში საერთაშორისო პოლიტიკის ვიწრო მიმართულებები შეიძლება აღმოვაჩინოთ ყველგან. მაგალითად – ენერგეტიკა, ეკონომიკის სხვა დარგები, მედიცინა, მეცნიერება და ა.შ.

აუცილებელია, გაწერილი იყოს ისეთი ვიწრო სპეციალიზაციები, როგორიცაა – სამხედრო ატაშე, კულტურის ატაშე, პოლიციის ატაშე, კონსული და ა.შ. არაა საერთოდ საუბარი რეფერენტებზე, თარჯიმან-რეფერენტებსა და ა.შ.

ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვამზადებთ საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტებს მხოლოდ ზოგადად. ბუნებრივია, რომ ასეთი საგანმანათლებლო პოლიტიკით ჩვენ ვერ შევქმნით ამ მიმართულებით შესაბამის საკადრო პოტენციალს ვერც ქვეყნისთვის და ვერც საერთაშორისო საზოგადოებისთვის, მაგრამ სისტემაცენტრირებულმა პო-

ლიდიპლომატიურმა მიდგომამ შეიძლება სასიკეთოდ შეცვალოს (უკვე ცვლის) არსებული ვითარება;

4) სიმ-მეთოდის მეშვეობით, შეიქმნა საერთაშორისო ურთიერთობების სტუდენტების დასაქმების უნიკალური სერვის-პაკეტი. თითოეულ სტუდენტს (მსურველს) ექმნება ღირსეული დასაქმების რეალური შანსი არა მხოლოდ სწავლის დამთავრების შემდეგ, არამედ უკვე სწავლის პროცესში და ამას უზრუნველყოფს პოლიდიპლომატიის საერთაშორისო სკოლა. პოლიდიპლომატიის საერთაშორისო სკოლაში ასევე შექმნილია საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტების ღირსეული დასაქმების პროგრამა. მათ ეძლევათ შესაძლებლობა, გაიარონ კონსულტაციები, შექმნან პროფესიული სტრატეგიები და თვითგანათლების ეფექტური გეგმები, მიიღონ მონაწილეობა კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებში;

5) პოლიდიპლომატიის საერთაშორისო სკოლა წარმოადგენს ინსტიტუციონალურ რესურსს. სკოლა ემსახურება სხვადასხვა უნივერსიტეტის იმ სტუდენტებს, რომლებსაც აქვთ სურვილი, რომ გახდნენ დიპლომატები და ეს არ არიან მხოლოდ ის სტუდენტები, ვინც სწავლობს საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით. სკოლა გასცემს შესაბამის სერთიფიკატს.

6) სკოლის დამფუძნებლები გახდნენ სხვადასხვა პროფესიისა და სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, რაც თავისთავად ნიშნავს ამ იდეის საერთაშორისო აღიარებას. სკოლის თანადამფუძნებლები ასევე არიან წარმოდგენილნი სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებით, რაც სერიოზული ორგანიზაციული რესურსია. სკოლის წარმომადგენლები, პარალელურ რეჟიმში, მოღვაწეობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

7) სკოლასთან იქმნება საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტების საერთაშორისო პროფესიული კავშირი, რომელიც გააერთიანებს ამ დარგის სპეციალისტებს და ხელს შეუწყობს პროფესიულ განვითარებასა და ღირსეულ დასაქმებას.

დასკვნა

სიმ-მეთოდის გამოყენებით შეიქმნა პოლიდიპლომატიის კონცეფცია და შესაბამისი საიმპლემენტაციო ინსტიტუციონალური რესურსი პოლიდიპლომატიის საერთაშორისო სკოლის სახით. შეიქმნა საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურობის ზრდის, მათი საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებისა და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უნიკალური შესაძლებლობა. სტუდენტები, პროფესორები და ექსპერტები ინტერესების მიხედვით გადანაწილდნენ ახლადშექმნილ ინსტიტუციურ სტრუქტურებში, რაც ნიშნავს მათი ღირსეული დასაქმების პროცესის ხელშეწყობას.

ჩატარებულმა ექსპერიმენტმა დაამტკიცა, რომ სტუდენტების უმრავლესობა ოპტაციის ფაზიდან გადავიდა პროფესიული ადაპტაციის ფაზაში, გაიზარდა მათი დაკმაყოფილება თვით სასწავლო პროცესით. მოგვარდა მათი ინტრაპერსონალური კონფლიქტები ფორმალურ იდენტობასა და ონტოგენეზში გაჩენილ პროფიდენტობებს შორის. შეიქმნა სიმ-ტექნიკების მეშვეობით და, სახელდობრ – რობერტო ასაჯიოლის ფსიქოსინთეზისა და დიმიტრი უზნაძის „მოდერნიზაცია/რეკონსტრუქციის“ კონცეფციის მეშვეობით, ახალი სინთეზირებული პროფესიული როლები და შესაბამისი ვიწრო სპეციალიზაციები.

ლიტერატურა:

1. უზნაძე დიმიტრი („პროფესიათა ფსიქოლოგიის აქტუალური ამოცანებისა და თეორიული საფუძვლებისათვის“, თბილისი, გამომცემლობა „ცის ნამი“, 2007;
2. რუსეცკი ალექსანდრე „სასწავლო/პროფესიული ბედნიერების დეპრივაცია და სიმ-მეთოდი“ – სადისერტაციო ნაშრომი (წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის საპატრიარქოს ქართული უნივერსიტეტი (2018);
3. Бурганова И.Н.– «Феномен сетевой дипломатии в системе международных отношений (на примере Российской Федерации)», Политические науки, Оренбургский государственный педагогический университет, 2016;
4. ТоркуновА. В. Современные международные отношения. SBN 978-5-7567-0662-Учебник, 2012;

5. Dr. DiamondLouiseandAmbassadorMcDonaldJohn,, *Multi-Track Diplomacy: ASystemsApproachtoPeace",* ThirdEdition. West Hartford, CT: KumarianPress, 1996;
6. Вознюк А.В. – «Концептуализация холистической педагогической парадигмы», (2011), http://www.trinitas.ru/rus/doc/0016/001c/ 00161805.htm
7. «Указ Президента Российской Федерацииот 30.11.2016 г. № 640 Об утверждении Концепции внешней политики Российской Федерации» – http://kremlin.ru
8. ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მომზადებული აბიტურიენტთა ცნობარი» (2017) – https://edu.aris.ge
9. ttp://eqe.gov.ge/res/docs/120N_5.12.2017.pdf ;
10. სამინისტროში დასაქმებულ პირთა ოდენობა კატეგორიების მითითებით გენდერულ ჭრილში, http://mfa.gov.ge
11. მრავალარხიანი დიპლომატიის ინსტიტუტის პრეზიდენტის, ჯონ მაკდონალდის ლექცია, www.ciu.edu.ge